იჯარის ხელშეკრულება

წინამდებარე იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია 2015 წლის 28 დეკემბერს შემდეგ მხარეებს შორის

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“, საიდენტიფიკაციო კოდი 404497273 , იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ამაღლების ქ. 12, სადარბაზო #1, ბინა #1 წარმოდგენილი მისი დირექტორის ბესიკ ოქროპირიძის (პირადი ნომერი 01007007444) სახით (შემდგომში „მოიჯარე“),

და

მეორეს მხრივ, შ.პ.ს. “ალფა“, (საიდენტიფიკაციო კოდი: 208143285 ; მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ქიზიყის #17) წარმოდგენილი მისი დირექტორის ბესიკ აბესაძის (პირადი ნომერი 01024015435) სახით (შემდეგში წოდებული, როგორც “მეიჯარე“)

ითვალისწინებენ რა, რომ:

“მეიჯარეს“ საკუთრებაშია ქ.თბილისში, გლდანში I და II მ/რ-ებ შორის მდებარე უძრავი ქონება (ნაკვ.13/8), რომლის მახასიათებელია: მიწის ნაკვეთი 1745.0 კვ.მ. შენობა – ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: - 1404 კვ.მ მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.11.12.013.008 ; (შემდგომში “ფართი“).

“მოიჯარე“ გამოხატავს ნებას და ადასტურებს, რომ განსაზღვრული აქვს და გააჩნია შესაძლებლობა მიიღოს “მეიჯარის“ საკუთრებაში არსებული ფართი დროებით სარგებლობაში, გამოიყენოს იგი თავისი საქმიანობის მოსაწყობად და გადაიხადოს საიჯარო ქირა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებითა და ოდენობით.

მხარეები ადსტურებენ, რომ მათთვის უცნობია ისეთი გარემოება, რაც ხელს უშლის, აბრკოლებს ან/და შეუძლებელს ხდის წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებასა და ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

შესაბამისად აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. “მეიჯარე“ დროებით სარგებლობაში გადასცემს “მოიჯარეს“ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღწერილ უძრავ ქონებას (ფართი) და უზრუნველყოფს “მოიჯარის“ მიერ მის გამოყენებას ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებული მიზნით.

მეიჯარე

მოიჯარე

1.2. "მოიჯარე" "ფართს" გამოიყენებს თავისი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით და არ გამოიყენებს აღნიშნულ ფართს ისეთი საქმიანობისათვის, რაც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით ან დაბალი კატეგორიის კვების ობიექტის საქმიანობის ორგანიზების მიზნით.

1.3. "მოიჯარე" გადაუხდის "მეიჯარეს" საიჯარო ქირას წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული ოდნობით.

მუხლი 2. იჯარის საგანი, იჯარის საგნის გადაცემა

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე იჯარით გადაცემული უძრავი ქონების მახასიათებელია: ქ.თბილისში, გლდანში I და II მ/რ-ებ შორის მდებარე უძრავი ქონება (ნაკვ.13/8): მიწის ნაკვეთი 1745.0 კვ.მ. შენობა – ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: - 1404 კვ.მ. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.11.12.013.008 .

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, "ფართის" "მოიჯარის" დროებით სარგებლობაში გადაცემა მტკიცდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით. ამასთან მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის ფართი დატვირთულია იპოთეკით ს.ს. „საქართველოს ბანკის" სასარგებლოდ. იპოთეკის ხელშეკრულება #CAH000086453, დამოწმების თარიღი 23.01.2015 წელი, განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882015032036, თარიღი 23/01/2015.

2.3. "მეიჯარე" იძლევა გარანტიას, რომ "ფართი" არ წარმოადგენს დავის საგანს და მესამე პირებს არ გააჩნიათ რაიმე სახის მოთხოვნა ან/და პრეტენზია "ფართის" ან მისი ნაწილის საკუთრებასთან დაკავშირებით, ასევე, არც ერთ მესამე პირს არ გააჩნია რაიმე სახის მოთხოვნა ან/და პრეტენზია "ფართის" იჯარით გაცემასა და "მოიჯარის" მიერ"ფართით" ამ ხელშეკრულების შესაბამისად სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით.

მუხლი 3. ფართის გადაცემა

3.1. "მოიჯარეს" "ფართი" დროებით სარგებლობაში (ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და ვადით სარგებლობისთვის) უნდა გადაეცეს წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში. "ფართის" გადაცემის ფაქტი ფიქსირდება მიღება-ჩაბარების აქტით.

მეიჯარე

მოიჯარე

მუხლი 4. საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 1 იანვრიდან და ძალაშია 10 (ათი) წლის განმავლობაში.

მუხლი 5. საიჯარო ქირა და გადახდის პირობები

5.1. მოიჯარის მიერ გადასახდელი საიჯარო ქირის დარიცხვა იწყება 2016 წლის 1 იანვრიდან.

5.2. "მოიჯარე" ვალდებულია საიჯარო ქირა გადაიხადოს იჯარის ვადის მთელი პერიოდის განმავლობასში, ყოველთვიურად, ყოველი საანგარიშო თვის 20 (ოცი) რიცხვამდე ავანსის სახით წინასწარ.

5.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ყოველთვიურად გადასახდელი საიჯარო ქირის ოდენობა შეადგენს 17 700 (ჩვიდმეტიათას შვიდასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

5.4. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 5.4. პუნქტით გათვალისწინებული საიჯარო ქირა მოიცავს დამატებითი ღირებულების გადასახადს.

5.5. "მეიჯარეს" ეკრძალება საიჯარო ქირის ოდენობის ცალმხრივად გაზრდა, გარდა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

5.6. "მოიჯარისათვის" "ფართის" დროებით სარგებლობაში გადაცემის მომენტიდან, რაც დასტურდება მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით, "ფართთან" დაკავშირებული ყველა კომუნალური გადასახადის, მათ შორის, ელექტრომომარაგების, წყლის, დასუფთავების, ტელეფონის, და სხვა გადასახადების გადახდა ეკისრება "მოიჯარეს".

მუხლი 6. მეიჯარეს გარანტია

6.1. "მეიჯარე" აცხადებს, რომ "ფართი" ნივთობრივად უნაკლოა, კერძოდ, იგი შეთანხმებული ხარისხისაა და ვარგისია ჩვეულებრივი სარგებლობისთვის.

6.2. "მეიჯარე" აცხადებს, რომ არც ერთ მესამე პირს არ შეუძლია "მეიჯარეს" განუცხადოს პრეტენზია "ფართის" საკუთრებასთან დაკავშირებით. "ფართი" "მეიჯარეს" სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია საკუთრების უფლებით მისი ნამდვილი უფლების საფუძველზე. "ფართის" კუთვნილებასთან დაკავშირებით არ მიმდინარეობს დავა, "ფართი"

მეიჯარე

მოიჯარე

არ წარმოადგენს აღსრულების საგანს, სასამართლოს მიერ არ არის მიღებული გადაწყვეტილება "ფართთან" დაკავშირებით და ობიექტურად არ არსებობს ზემოაღნიშნულის მსგავსი სხვა რაიმე გარემოებები. "მეიჯარე" აცხადებს, რომ არც ერთი სამართლებრივი აქტით არ ეკრძალებათ "ფართის" ამ ხელშეკრულების შესაბამისად "მოიჯარისთვის"გადაცემა და არ არსებობს ისეთი გარემოება, რაც დაბრკოლებას ან/და შეუძლებელს გახდის "ფართის" ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით "მოიჯარესთვი" დროებით სარგებლობაში გადაცემას.

6.3. "მეიჯარე" ვალდებულია გამოიყენოს ყველა მისთვის შესაძლო ზომა, მათ შორის კანონით გათვალისწინებული საშუალება, რათა შეინარჩუნოს "ფართი" უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

6.4. თუ "ფართს" აღმოაჩნდება ნაკლი (რაც წარმოშობილია წინამდებარე ხელშეკრულების დადებამდე) ან ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებული გარემოების გამო, წინასწარ გათვალისწინებული უთუოდ მოსალოდნელი ნაკლისგან ფართის დასაცავად საჭირო იქნება აუცილებელი ზომების მიღება ან მესამე პირი განაცხადებს თავის უფლებებს მასზე, მაშინ "მოიჯარე" ვალდებულია ამის შესახებ დაუყონებლივ აცნობოს "მეიჯარეს", რომელმაც თავის მხრივ, ყოველი ღონე უნდა იხმაროს (მათ შორის დაუყონებლივი სამართლებრივი ზომები) ამ გარემოებების დაუყონებლივ თავიდან ასაცილებლად ან გამოსასწორებლად. ამისათვის "მეიჯარე" ვალდებულია გამოიყენოს ყველა მისთვის შესაძლო და/ან მის წინაშე არსებული საშუალება (მათ შორის კანონით გათვალისწინებული საშუალება) ნაკლის და საფრთხის გამოსასწორებლად და/ან თავიდან ასაცილებლად. "მეიჯარემ" ზომები უნდა მიიღოს და იმოქმედოს უმოკლეს შესაძლო ვადებში (30 დღეში, იმ შემთხვევაში თუ ეს ვადა ფაქტობრივად საკმარისია), ხოლო როდესაც ასეთ ვადებს განსაზღვრავს კანონი, "მეიჯარე" ვალდებულია არ გადააცილოს კანონით განსაზღვრულ ვადებს.

6.5. "მეიჯარე" "მოიჯარეს" ანიჭებს "ფართის" იჯარით აღების უპირატეს უფლებას, რაც ნიშნავს იმას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემდეგ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში "ფართის" მესამე პირისთვის იჯარით გადაცემის სურვილის არსებობის შემთხვევაში, "მეიჯარე" ვალდებული იქნება "ფართის" იჯარით აღება შესაბამისი პირობების მითითებით წერილობით შესთავაზოს "მოიჯარეს" და ამ უკანასკნელის თანხმობის შემთხვევაში შეთავაზებაში აღნიშნული პირობებით დადოს მასთან შესაბამისი ხელშეკრულება. იმ შემთხვევაში თუ წერილობითი შეთავაზების მიღებიდან 10 (ათი) სამუშო დღის ვადაში "მოიჯარე" არ გამოთქვამს თანხმობას, "მეიჯარეს"უფლება ექნება იჯარით გადასცეს "ფართი" შეტყობინებაში მითითებულ პირს,შეტყობინებაში მითითებული პირობებით.

6.6. მეიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს მოიჯარისათვის საჭირო ყველა ნებართვების მიღება მხარეთა შორის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში (მოიაზრება ნებართვები სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებზე, ფირნიშებზე და სარეკლამო

მეიჯარე

მოიჯარე

აბრებზე, გარე ფასადის სამუშაოებზე მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნულით). ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში მოიჯარე უფლებამოსილია დაარიცხოს პირგასამტეხლო მეიჯარეს საიჯარო ქირის 12 თვის ოდენობით.

6.7. მეიჯარე ვალდებულია გასცეს ყველა სახის თანხმობა და დოკუმენტი იმ მიზნით, რომ მოიჯარე დარეგისტრირდეს ქვეაბონენტად კომუნალური მომსახურების გამწევ დაწესებულებებში (წყალი, გაზი, დასუფთავება, ელ.ენერგია, ტელეფონია და ინტერნეტი).

6.8. მეიჯარემ არ უნდა მოახდინოს მოიჯარის საქმიანობაში ჩარევა.

მუხლი 7. ფართის მოვლა

7.1. "მოიჯარეს" უფლება აქვს "ფართში" განახორციელოს ნებისმიერი სახის რემონტი და რეკონსტრუქცია და "ფართი" მოაწყოს ისე როგორც ამას მოითხოვს მისი იქ განსახორციელებელი საქმიანობა, ამავე დროს "მოიჯარე" ვალდებულია ნებისმიერი ასეთი სამუშაო განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.

7.2. "მოიჯარე" კისრულობს ვალდებულებას რემონტის, რეკონსტრუქციის ან სხვა სახის საქმიანობის განხორციელებისას არ დაუშვას "ფართის" დაზიანება, მათ შორის სტრუქტურული დაზიანება. "ფართის" დაზიანების შემთხვევაში "მოიჯარე" ვალდებულია შეატყობინოს ამის შესახებ "მეიჯარეს", მიუთითოს დაზიანების მიზეზი და უმოკლეს ვადაში აღმოფხვრას "ფართის" დაზიანება საკუთარი ხარჯით.

7.3. "მოიჯარე" ვალდებულია "მეიჯარეს" წინასწარი თანხმობის გარეშე "ფართში" არ განახორციელოს რაიმე სახის მნიშვნელოვანი საინჟინრო-სტრუქტურული ცვლილება (მზიდი კედლების ან საძირკვლის საინჟინრო - სტრუქტურული ცვლილება)

7.4. "მეიჯარე" თანახმაა, რომ "მოიჯარემ" "მეიჯარეს" წინასწარი თანხმობის გარეშე საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, "ფართში" დაამონტაჟოს ან განათავსოს მის მიერ შერჩეული ლოგო, ფერები, შპალერი, ვიტრაჟების განათების სისტემა, გათბობისა და გაგრილების საშუალებები, ასევე სავენტილაციო და ჰაერის გამწოვი სისტემები, შესაბამისი ნიშნები, სარეკლამო და სხვა სახის გასაფორმებელი მასალები.

7.5. მხარეები თანხმდებიან, რომ "ფართში" დეკორაციების განთავსება-დამონტაჟება ან/და განახლება, ასევე დამატებითი ტიხრების ან/და სამუშაო ადგილების მოწყობა, არ მოითხოვს "მეიჯარის" მხრიდან წინასწარ წერილობით თანხმობას, "მოიჯარემ" ფართში ცვლილებების განხორციელებისას უნდა დაიცვას შენობასთან დაკავშირებული ყველა საინჟინრო წესი და შესაბამისი სამართლებრივი ნორმა.

მეიჯარე

მოიჯარე

7.6. "მოიჯარე" საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფს "ფართის" ნებისმიერი სარემონტო, სარეკონსტრუქციო, მიმდინარე სარემონტი-სამღებრო და სხვა სამუშაოების შესრულებას (დაკავშირებულს მის საქმიანობასთან).

7.7. "მოიჯარე" პასუხს აგებს "ფართის" მოვლა პატრონობაზე და მის ნორმალურ სამეურნეო მდგომარეობაში შენარჩუნებაზე. ასვე ეკისრება რემონტისა და სხვა სამუშაოების შესრულება (დაკავშირებულს მის საქმიანობასთან).

7.8. "მოიჯარე" ვალდებულია უზრუნველყოს "ფართის" დაცვა მისი თანამშრომლების ან სხვა ნებისმიერი წარმომადგენლის მიერ დაზიანებისაგან. "მოიჯარე" პასუხს აგებს იმ ზიანისთვის, რაც გამოწვეული იქნება მის მიერ ან/და მისი თანამშრომლების ან/და მისი ნებისმიერი წარმომადგენლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული "ფართის" არასათანადო წესით გამოყენების შედეგად. ნებისმიერი მესამე პირის მიერ ფართის დაზიანების შემთხვევა დარეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.9. "მოიჯარე" ვალდებულია ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის, ხელშეკრულების მოშლისა და მისი მოქმედების სხვა საფუძვლით შეწყვეტის შემთხვევაში დაუბრუნოს "ფართი' "მეიჯარეს" იმავე მდგომარეობაში, როგორც მან მიიღო ხელშეკრულების დადების მომენტში, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით.

7.10. "მოიჯარე" პასუხს არ აგებს ქონების/"ფართის" ისეთი ცვლილებებისა და გაუარესებისთვის, რაც წარმოიშვა ფართის სათანადოდ და ნორმალური გამოყენების/ექსპლუატაციის შედეგად და/ან ნორმალური ცვეთის შედეგად.

მუხლი 8. ფართის დაბრუნება

8.1. "მოიჯარე" ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვიდან, მათ შორის ხელშეკრულების მოქმედების ვადამდე შეწყვეტიდან, არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, დაუბრუნოს "ფართი" "მეიჯარეს" ('ფართის" დაბრუნების თაობაზე მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი). დაბრუნების მომენტისთვის "ფართი" უნდა იყოს გათავისუფლებული "მოიჯარის" კუთვნილი ავეჯის, დანადგარების, აპარატურის და სხვა ნივთებისაგან. "ფართი" "მეიჯარესთვის" დაბრუნების მომენტიდან "მოიჯარე" შეწყვეტს კომუნალური და საკომუნიკაციო გადასახადების გადახდას (გარდა "ფართის" დაბრუნებამდე წარმოშობილი დავალიანებისა, რისი გადახდაც მას ევალება "ფართის" დაბრუნების შემდეგ პერიოდშიც). "ფართის" დაბრუნების შემდეგ "მოიჯარეს" შეუწყდება კომუნალური გადასახადების გადამხდელის აბონენტის სატატუსი (თუკი იგი ასეთი სტატუსის მქონე იყო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის მომენტამდე).

8.2. "მოიჯარე" ვალდებულია "ფართის" დაბრუნება განახორციელოს ყოველგვარი დავალიანების გარეშე. შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში "მოიჯარემ" "მეიჯარეს" უნდა

მეიჯარე

მოიჯარე

წარუდგინოს შესაბამისი დავალიანების არ ქონისა და მრიცხველის გამართულ მდგომარეობაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობები) შესაბამისი მიმწოდებლისაგან.

მუხლი 9. პაუხისმგებლობა

9.1. მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამოსად.

9.2. თუ "მოიჯარე" გადააცილებს "ფართის' დაბრუნების წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადას "მეიჯარე" უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომლის ოდენობაც განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზრვრული საიჯარო ქირის პროპორციული თანხით.

9.3. "მოიჯარის", მისი თანამშრომლების, ან სხვა მასთან დაკავშირებული პირების მიერ ქონებისთვის (მათ შორის "ფართის") დაზიანებისას სრული მატერიალური და იურიდიული პასუხისმგებლობა ეკისრება "მოიჯარეს".

9.4."ფართში" დამონტაჟებული მრიცხველების დაზიანების შემთხვევაში "მოიჯარე' ვალდებულია საკუთარი ხარჯით გამოასწოროს ასეთი დაზიანება და/ან გასწიოს ახალი მრიცხველების დამონტაჟებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.

9.5. იმ შემთხვევაში, თუ "მოიჯარე" 60 დღე (უწყვეტად) არ იხდის საიჯარო ქირას და მასთან დაკავშირებულ ჯარიმებს, "მეიჯარე" უფლებამოსილია მოშალოს ხელშეკრულება.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დგება დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომელმაც უშუალოდ იმოქმედა მხარის ჩვეულებრივ მდგომარეობაზე და რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

10.2. "ფორს-მაჟორი" გულისხმობს ისეთ გარემოებებს, რომლებიც არ არსებობდა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ. კერძოდ: წყალდიდობა, მიწისძვრა, აფეთქებები,საყოველთაო ხანძარი, მაშტაბური ავარია, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, საყოველთაო გაფიცვები, ნაციონალიზაცია, კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც პირდაპირ და/ან ირიბად ეხება სათამაშო ბიზნესის მოწყობის სექტორში

მეიჯარე

მოიჯარე

მატერიალურ აკრძალვებს ან ესპროპრიაციას და სხვა საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარემოებები.

10.3. ფორს-მაჟორულ გარემოებას არ მიეკუთვნება ის გარემოებები, რომლებიც უშუალოდ არ ზემოქმედებენ მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებების შესრულებაზე, კერძოდ: "მეიჯარის" მიერ "ფართის" გადაცემაზე, "მოიჯარის" მიერ "ფართის" მიღებაზე/სარგებლობაზე, "მოიჯარის" ბიზნეს საქმიანობაზე. მხარემ, რომელიც აღმოჩნდა ფორს-მაჟორულ მდგომარეობაში, ვალდებულია დაუყოვნებლივ, ასეთი გარემოების დადგომიდან (ათი) 10 დღის განმავლობაში ელექტრონული ან ტექნიკური საშუალებებით შეატყობინოს მეორე მხარეს (ერთის მხრივ "მეიჯარეებს", ხოლო მეორეს მხრივ, "მოიჯარის" დირექტორს, ან სხვა პასუხისმგებელ პირს) აღნიშნულის თაობაზე. შეუტყობინებლობა და/ან დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში, მხარე კარგავს უფლებას, დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. ამასთან, მხარე ვალდებულია წარმოადგინოს უტყუარი და ობიექტური მიზეზები,რომლებიც განაპირობებს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის დროს, ვალდებულებათა შესრულება გადაიწევს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის ვადით.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლოა შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

11.1.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლით.

11.1.2. ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

11.1.3. "მოიჯარის" ინიციატივით ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

11.1.4. "მეიჯარის" ინიციატივით იმ შემთხვევაში თუ "მოიჯარე" ზედიზედ 60 დღის განმავლობაში არ გადაიხდის საიჯარო ქირას.

11.2. "მოიჯარეს" უფლება აქვს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება (რისთვისაც მას არ დაეკისრება პასუხისმგებლობა), თუ მის მიმართ დაიწყო გაკოტრების ან გადახდისუუნაროობის საქმის წარმოება, ასეთი პროცედურის დაწყებიდან 3 დღეში "მოიჯარე" ვალდებულია "მეიჯარეს" მიაწოდოს შესაბამისი წერილობითი შეტყობინება.

11.3. "მოიჯარე" უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, რისთვისაც ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღამდე მინიმუმ 3 (სამი) თვით ადრე უნდა მიმართოს "მეიჯარეს" წერილობითი შეტყობინებით იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღის მითითებით.

მეიჯარე

მოიჯარე

11.4. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მათ შორის "მოიჯარის" მიერ "ნივთის" დაზიანების (თუ დაზიანება "მოიჯარის" მიერ არ გამოსწორდება 60 დღის განმავლობაში) ან და საიჯარო ქირის 60 დღის განმავლობაში (უწყვეტად) გადაუხდელობის შემთხვევაში, "მეიჯარეს" უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ხელშეკრულების მოშლა უნდა განხორციელდეს "მოიჯარისთვის" წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

11.5. "მოიჯარე" უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, წერილობითი შეტყობინების გაგზავნით შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ "მეიჯარე" არღვევს ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ნებისმიერ ვალდებულებას და ვერ ახერხებს ასეთი დარღვევის გამოსწორებას 30 დღის ვადაში.

11.6. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს შეწყვეტამდე არსებული ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 12. განსაკუთრებული პირობები

12.1. "მოიჯარე" უფლებამოსილია გააცნოს "მეიჯარეს" ("მეიჯარეს" სურვილის შემთხვევაში) მისი საქმიანობის ზოგადი წესები (მაგ: სამუშაო საათები, განსაკუთრებული ღონისძიებები და ა.შ.)

12.2."მოიჯარე" ადასტურებს, რომ "ფართში" განთავსებულ ნებისმიერი სახის ნივთ(ებ)ზე, მიუხედავად ღირებულებებისა, ზომისა და წონისა ექნება ფლობის და "ფართში" განთავსების კანონიერი უფლება.

12.3. "მოიჯარეს" ეკრძალება იჯარით გაცემული "ფართის" გამოყენება კანონით აკრძალული რაიმე საქმიანობისთვის ან და ლიცენზირებას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელებისათვის, შესაბამისი ლიცენზიის ფლობის გარეშე.

12.4. "მეიჯარე" იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას "მოიჯარის" ნებისმიერ სახის ქმედებისთვის, მათ შორის ლიცენზირებას დაქვემდებარებული საქმიანობის ულიცენზიოდ წარმართვისთვის, მიუხედავად იმისა, განხორციელდება ასეთი ქმედება იჯარით გაცემული "ფართის" ტერიტორიაზე თუ მის ფარგლებს გარეთ.

12.5. საწარმოოს ოპერირების პერიოდში შესაძლოა "ფართში" აღენიშნებოდეს საწარმოო პროცესებისათვის თანმდევი ხუნი. წინამდებარე საიჯარო ხელშეკრულების პირობების თანახმად აღნიშნულმა ხუნმა არ უნდა გამოიწვიოს რომელიმე მხარის გაღიზიანება ან რაიმე პრეტენზია.

12.6. თუ მეიჯარე გადაწყვეტს ფართის გასხვისებას, მან პირველი შეთავაზება ამის შესახებ უნდა გაუკეთოს მოიჯარეს (უპირატესი შესყიდვის უფლება) ან მის მიერ მითითებულ პირს. მოიჯარის მიერ მეიჯარის შეთავაზებაზე წერილობითი პასუხი გაცემული უნდა იქნეს

მეიჯარე

მოიჯარე

შეთავაზების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. თუ მეიჯარე მოიჯარისათვის შეთავაზების შემდეგ შეამცირებს ნასყიდობის ფასს ვალდებულია აცნობოს მოიჯარეს (ან მის მიერ მითითებულ პირს) ამის შესახებ და ხელახლა გაუკეთოს ნასყიდობაზე შეთავაზება. საიჯარო ფართის გასხვისების შემთხვევაში მეიჯარე ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულებაში განსაზღვროს, რომ მყიდველი ხდება საიჯარო ხელშეკრულების უფლებამონაცვლე და მის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ იმოქმედებს იგივე ვალდებულებები და უფლებები, რაც ექნება მეიჯარეს. ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში "მეიჯარეს" დაეკისრება ვალდებულება გადაუხადოს "მოიჯარეს" საიჯარო ფართში გაწეული რემონტის ღირებულება (ღირებულება უნდა დადასტურდეს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე, ხოლო თუ ასეთი შეუძლებელია - სარემონტო სამუშაოებისათვის გახარჯული თანხების დამადასტურებელი დოკუმენტებით), ასევე ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტში "ფართში" არსებული, "მოიჯარის" მიერ შესყიდული, ავეჯის, დანადგარების, სავენტილაციო და გათბობის საშუალებებისა და აპარატურის ღირებულება, რომელიც განისაზღვრება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე, ასევე „მოიჯარის" მიერ გადახდილი მისი საქმიანობისათვის აუცილებელი ნებართვის მისაღებად საჭირო მოსაკრებლები სრულად. ამასთან მხარეები აცხადებენ, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა მათთვის სრულად მისაღებია და სადაოდ არ იქნება გამხდარი. დასკვნის ხარჯები მხარეთა მიერ განაწილებული იქნება თანაბრად. ანაზღაურება მოხდება გონივრულ ვადაში, თუმცა არაუგვიანეს ასეთი მოთხოვნის წარდგენიდან 2 თვისა. ამ შემთხვევაში "მოიჯარეს" აქვს უფლება იჯარის პირობებით ისარგებლოს "ფართით", სანამ არ მოხდება ასეთი კომპენსაციის ანაზღაურება.ასევე "მეიჯარეს" დაეკისრება ვალდებულება გადაუხადოს "მოიჯარეს" საკომპენსაციო თანხა (გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით მხარეები აცხადებენ, რომ საკომპენსაციო თანხაში არ შედის 11.6. პუნქტით გათვალისწინებული თანხები, პირგასამტეხლო, ჯარიმა და მიუღებელი შემოსავალი) რომლის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღამდე ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში „მოიჯარის" ბრუნვის ოდენობით. ამასთან მხარეები აცხადებენ, რომ ამ პუნქტით გათვალისწინებული უპირატესი შესყიდვის უფლება მოქმედებს ხელშეკრულების ვადის გასვლიდან და ან შეწყვეტიდან 3 თვის ვადით.

12.7. იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარის, მისი თანამშრომლების ან ნებისმიერი მესამე პირის მიერ შეიზღუდება მოიჯარის მიერ „ფართით" სარგებლობა, შეზღუდვის პერიოდში საიჯარო გადასახადის გადახდა არ ხდება. თუ ასეთი შეზღუდვა გრძელდება 6 (ექვსი) თვეზე მეტი პერიოდით, მხარეები უფლებამოსილნი არიან დაიწყონ მოლაპარაკებები ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის მიზნით და ხელშეკრულება მიიჩნევა ვადაზე ადრე შეწყვეტილად მეიჯარის ინიციატივით.

მეიჯარე

მოიჯარე

12.8. „მეიჯარე“ აცხადებს თანხმობას, რომ „მოიჯარე“ უფლებამოსილია „მეიჯარის“ დამატებითი თანხმობის გარეშე გასცეს ფართი ქვეიჯარით. ამასთან „მეიჯარე“ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მას ამ ხელშეკრულების ხელმოწერით უკვე გაცემული აქვს ასეთი თანხმობა და ფართის ქვეიჯარით გასაცემად „მოიჯარეს“ არანაირი დამატებითი დოკუმენტი აღარ დაჭირდება. ამასთან მხარეები თანხმდებიან, რომ ფართი ქვეიჯარით არ იქნება გაცემული ისეთი საქმიანობისათვის, რაც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით ან დაბალი კატეგორიის კვების ობიექტის საქმიანობის ორგანიზების მიზნით.

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და შეტყობინებათა გაგზავნის წესი

13.1. ნებისმიერი შეტყობინება მხარეთა შორის, უნდა განხორციელდეს ამ მუხლში მოცემული რეკვიზიტების გამოყენებით.

13.1.1. “მეიჯარე”

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ქიზიყის #17

საიდენტიფიკაციო კოდი: 208143285

ელ-ფოსტა:babesadze@rustaveli.com.ge

13.1.2. “მოიჯარე”

იურიდიული მისამაართი: თბილისი, ამაღლების ქ. #1, სადარბაზო #1, ბინა #1

საიდენტიფიკაციო კოდი: 404497273

ელ-ფოსტა: sgamblinghall@gmail.com

13.2. ამ მუხლში მოცემული ნებისმიერი რეკვიზიტის შეცვლის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მეორე მხარეს. ასეთი ცვლილება მეორე მხარისთვის ძალას იძენს შეტყობინების მიღების დღის მომდევნო დღეს განხორციელებულ ქმედებებზე.

13.3. შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება გაგზავნიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში, წინამდებარე მუხლში მითითებული ფორმის დაცვით გაგზავნისას.

13.4. საკონტაქტო პირისათვის შეტყობინების ჩაბარება ჩაითვლება ხელშეკრულების მხარისათვის შეტყობინების ჩაბარებად.

მუხლი 14.დავების განხილვა.

მეიჯარე

მოიჯარე

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების ან/და ამასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

14.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე. ნებისმიერი დავის დროს თუ ვერ ხერხდება ურთიერთშეთანხმება, მხარეებს აქვთ უფლება მიმართონ შესაბამის სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 15. კონფიდენციალურობა

15.1. კონფიდედენციალურად ითვლება ყველა სახის ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ პირობებთან.

15.2. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საკუთრებას და არ გახადონ მესე პირთათვის ცნობილი კონფიდენციალური ინფორმაცია.

15.3. კონფიდენციაური ინფორმაცია შესაძლოა მიეცეს მხოლოდ მხარის კანონიერ წარმომადგენელს, სხვა პირებს ინფორმაცია შესაძლოა მიეწოდოს მხოლოდ მხარეების გადაწყვეტილებით, მათი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

15.4. კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება ძალაში რჩება ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომაც 3 წლის განმავლობაში.

მუხლი 16. დამატებითი დებულებები

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად - თითო ყოველი მხარისათვის, ხოლო ერთი ეგზემპლარი დარეგისტრირდება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

16.2. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

16.3. მხარეები აცხადებენ, რომ აქვთ სრული უფლებამოსილება ხელი მოაწერონ წინამდებარე ხელშეკრულებას და იკისრონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

16.4. წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან უქმდება ყველა ის ხელშეკრულება თუ შეთანხმება, რომელიც არსებობდა მხარეთა შორის ფართთან დაკავშირებით.

მეიჯარე

მოიჯარე

16.5. ნებისმიერი ცვლილება თუ დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში უნდა გაფორმდეს წერილობითი სახით.

16.6. წინამდებარე ხელშეკრულების სავარო რეესტრში რეგისტრაციის ხარჯებს თავის თავზე იღებს სრულად „მოიჯარე“

მხარეთა ხელმოწერები:

„მეიჯარე“ „მოიჯარე“

მეიჯარე მოიჯარე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N151402242
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	29.12.2015 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ელისო შიხიაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ლესელიძის ქ.#15
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 93-30-83 599446826
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	70450037132515

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას თხუთმეტი წლის ოცდაცხრა დეკემბერს, მე, ელისო შიხიაშვილი, ნოტარიუსი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ლესელიძის ქ. №15-ში, ვამოწმებ, ბესიკ ოქროპირიძის (დაბადებული 09.12.1973წ. მისი განცხადებით მცხოვრები ქ. თბილისი, ა. კერესელიძის №1, ბ№32, პირადი №01007007444) მისი განცხადებით როგორც შპს „ს გემბლინგ ჰოლი“-ს დირექტორის, რომელც ამ ხელშეკრულებაში არის მოიჯარე და ბესიკ აბესაძის (დაბ.14.05.1979წ. მისი განცხადებით რეგ. თბილისი, საირმის ქ. კორპ№10, ბ№20, პირადი №01024015435) მისი განცხადებით როგორც შპს „ალფა“-ს დირექტორის, რომელიც ამ ხელშეკრულებაში არის მეიჯარე, ხელმოწერას წინამდებარე იჯარის ხელშეკრულებაზე, უძრავ ქონებაზე, საკადასტრო კოდი №01.11.12.013.008. მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. ასევე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა. მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე ხელშეკრულებაზე, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია 52-00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 31-ე მუხლისა,

ასევე დღგ 9-36 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა. ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი (სამი ეგზემპლიარისათვის) 2-00 ლარი, (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი ელისო შიხიაშვილი

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16009034, 25/01/2016 14:31:20

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ს გემბლინგ ჰოლი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	404497273
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	09/07/2015
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ამაღლების ქ., N 12, სად. 1, სართული 1, ბ. 1

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: sgamblinghall@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- პარტნიორთა კრება

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01013023184, ზაურ ბერუაშვილი

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
01009010161, თენგიზ ფერაძე	75.00000000%	
01024013858, ავთანდილ წერეთელი	25.00000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.11.12.013.008**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882015751399 - 29/12/2015 18:02:44

მომზადების თარიღი
30/12/2015 15:47:24

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	გლდანი		
01	**11**	**12**	**013/008**

მისამართი: ქალაქი თბილისი , გლდანი , I და II მ/რ-ებს შორის , (ნაკვ. 13/8)

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 1745.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**13;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1-ში საერთო ფართი 1404 კვ.მ

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882015000759 , თარიღი 05/01/2015 12:39:00
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 05/01/2015

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N141420247 , დამოწმების თარიღი:31/12/2014 ,ნოტარიუსი ნ. მასხულია

მესაკუთრეები:
შპს "ალფა" , ID ნომერი:208143285

მესაკუთრე:
შპს "ალფა"

აღწერა:

იპოთეკა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882015032036 თარიღი 23/01/2015 16:38:51

იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"204378869;
მესაკუთრე: **შპს "ალფა"** 208143285;

საგანი:მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობი: 1745.00 კვ.მ. მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობ(ებ)ით;

იპოთეკის ხელშეკრულება NCAH000086453, დამოწმების თარიღი23/01/2015, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 26/01/2015

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882015750035 თარიღი 29/12/2015 14:49:32

მოიჯარე: შპს ს გემბლინგ ჰოლი 404497273;
მესაკუთრე: შპს "ალფა" 208143285;

იჯარის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N151402242, დამოწმების თარიღი29/12/2015, ნოტარიუსი ე. შიხიაშვილი ,

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 29/12/2015

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია სჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- სჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge